


მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შაკე ცხოვარი ჩემი წაწყედული. მსრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლექ. 15—4.
 შაკედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიძმენი და მე განვიგენთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 4

1883—1905

28 თებერვალი

ზურის ჟამები.

22 თებერვალს სულთნ-კრიმ-გირეიმ სიტყვით მიმართა შემოქმედის საზოგადოების გლეხებს.

ხუთას-ექვსასამდე გლეხი-კაცი იყო შეყრილი, გარდა ამისა იყვნენ ქალებიც და ბავშვებიც. ყველანი თამამად გამოიკურებოდნენ. მათ სახეს ეტყობოდა რწმენა და იმედი. თუმცა ზოგიერთებს ნათლად არა აქვთ დახატული, თუ რა უნდა და როგორ უნდა მოეწყოს მომავალი ცხოვრება, მაგრამ ყველა მტკიცედ დარწმუნებულია, რომ დღნგანდელი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, რომ ასე ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. გაჭირვების შეგნება ზერეულე არ არის, იგი შესისხლბორცებული აქვს ყველას. როდესაც მოენემ გადაუიარგნმა ხალხს კრიმ-გირეის სიტყვა, უკანასკნელმა სიბოვა გლეხებს, მოილაპარაკეთ ერთმანეთში და თუ ინებებთ, აირ-

ჩიეთ რამდენიმე კაცი დებუტატად და იმათ გადმო-მკეს თქვენი საჭიროებანი, მითხარიო ყველაფერი საეხებთ, დაუმალავად, არავინ არ დისჯება იმისთვის, რასაც იტყვის; არავის გვირი არ ჩაიწერება, მამა-სახლისსაც და შწერალსაც დაეითხოვ აქედან, თუ გინდათო (ხალხმა მოითხოვა მათი მოშორება).— ყრილობა გვიდა ცალკე და მოლაპარაკების შემდეგ აირჩიე; თორმეტი წარმოამდგენელი, რომელთაც ასე აუწერეს გლეხების გაჭირვება და მოითხოვეს, რითაც შეიძლება გაჭირვებული მდგომარეობის მოსპობა:

ვევლის კარგად მოეხსენება გლეხი-კაცის ამბავი, მიწა მის არა აქვს, აიფერი არ შემოდის და ყოველი გადასახადი, შევიწროება, შრომა-კი მის კისერზე; სხვა ბატონია და გლეხი-კი ისევ ემა და მონაა.

ბატონ-ყმობა რომ გადავარდა, მას აქეთ ბევრი



გლგხი დარჩა თავ-დაუხსნელი, რადგან არაფერი არ გაჩნია. რაღაც ორი ან ერთ ქცევა ნახვეარი მიწა აქვს ხელში ასეთ გლგხს და ამისთვის უნდა იხადოს ფული ცალკე, სიმიდი და ჩალა ცალკე და ამავე დროს მზად უნდა იყოს ყოველ წუთში, ეხსობა და ემსახუროს ბატონს. ყოველს რომ თავი გაინთავისუფლოს, ვალი უნდა აიღოს, მაგრამ რითი გადაიხადოს მერე ვალი? ამიტომ ეს დროებითი ვაჭაღუჭანი ვაჭაღუჭები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ კანთავისუფლებული მიწიანათ სახელმწიფოს ხარჯით.

ვლენი დარბია, მაგრამ გადასახადებს ყველაზე უფრო მას ახდენენებენ. ეს ეკლესიის დარაჯობა, ეს გზების გაკეთება, ეს ცხენებზე მიცემა მთავრობის კაცებისათვის, ეს ვაგზენა—ყველაფერი ჩვენს კისერზეა, მემამულეები-კი არაფერს არ აკეთებენ და არჩინად დასეირნობენ. როგორც-კი დასჭირდება სადმე წასვლა პოლიციის კაცს ან მდიდარს ვაჭარს ან მემამულეს, გამოაგვრენ ჩვენ, გზა გაუკეთეთ და უდარაჯებთ. დადგება გაზაფხული და დაიწყება ავარკობა და ჩვენ მოსვენება არა გვაქვს გზის კეთებისაგან. ორი დღით გვაგზავნიან სამუშაოდ 20—30 ვერსის სიშორეზე, მაგრამ ორი კვირით-კი გვტოვებენ და ვრჩებით ულუქუმა-პუროდ, სახლიც უპატრონოდ გვაქვს მიტოვებული და ცოლშვილი შიმშილით გვიწყდება. ძველს დარაჯობას ახლა ის მოუმატეს, რომ სოციალისტები, „მკენე“ კაცები დაიან სოფლად და უდარაჯეთ, არსად გაუშვით. მერე რა ვიცით ჩვენ, ვინ არის ასეთი „მკენე“ კაცი, ყოველი კაცი კაცია; ჩვენ ხომ პოლიცია არა ვართ! — ეკლესია ყველასათვის არის, ყველა სარგებლობს ეკლესიით—თავადი, აზნაური, ვაჭარი და გლგხიც, მაგრამ მართა გლგხი იხდის სადრამო ფულს. არ გვეყოფა, რასაც ისე გვაწუხებენ და გვახდენენებენ მღვდლები? ცალკე მოსარაოლავს ვაძღვეთ, ცალკე საწირავს, ცალკე ზიარებისას, ყოველთვის მაქვს ჩვენგან მღვდელს ფული; ისიც გამოიგონეს ხუცებმა, რვა საათის შემდეგ ვინც მოვა ჯვარის დასაწერად, 25 მანეთი უნდა მოგვეტოო ხუცესს ზიარება არ მოუცია ჩვენთვის უფულოდ და დრამა კიდევ რატომ უნდა ვიხადოთ გლგხებმა? ეს განსაკუთრებული გადასახადები, ეს გზების კეთება, დარჯობა უნდა მოიპოს და თუ საჭიროა მათი დარჯობა, ყველასათვის უნდა იყოს სავალდებულო.

უნდა მოიპოს აგრეთვე არა-ზარდაზარი, დაფა-

რული გადასახადები, მგალითად, სპიჩკანზე, შავკარზე ნავთზე, ტანისამოსზე და სხვა, რომელიც ჩვენსთანა ლაბი ხალხს აწევს კისერზე ყველაზე მეტად. ბა თუმში ნავთი ორ აბაზადაა ფული, ჩვენში კი ექვსი აბაზი და ორი მან. დღეს იმიტომ, რომ მივიგობ ბაეთ გვახდენენებს. ჩვენებური ნავთი უცხოეთში უფრო იაფად ღირს, ვიდრე ჩვენში, უცხოეთის საქონელი უკეთესია, მაგრამ ჩვენში რომ შემოიტანონ, დღი ბაეთ უნდა გადაიხადონ (კრამ-გირგი: ეს ბაეები იმიტომ, რომ აქედან შემოსული ფული მოხმარდეს სახელმწიფო საქმიონებას).. არა, ჩვენი არ გვეხმარება ეს ფული, მხოლოდ მდიდრები სსა გზლობენ. ჩვენ ისეც ვმუშაობთ მდიდრებისათვის და კიდევ ბაეები ვიხადოთ მათ სასარგებლოდ?

არის ზარდაზარი გადასახადები, მგალითად, მიწის გადასახადი, „სტრატეგები“-ს შეიანახი. ესეც ჩვენი გლგხების, შემაწუხებელი და დამაგვრელია. მემამულეს შეძლება აქვს, ქონების პატრონია, მას შეუძლია გადაიხადოს, თანაც სხვა და სხვა შედეგათი ეძლევა გადახდის დროს. ასეთი გადასახადებიც უნდა მოიპოს და შემოღებულ იქნას გადასახადი შემოსავალზე, ხოლო 500 მანეთის ნაკლებ შემოსავალზე არაკვალია გადასახადი არ უნდა დაწესდეს.

გლგხები რომ გაანთავისუფლეს, ვინც ფული გადაიხადა, თავი გამოისყიდა. მაგრამ ნადღელში გადახდილი ფული ვალად აღებული იყო. და დღეს მიწა მევანაშეს ჩაუვარდა ხელში. ამიტომ უნდა დაგვაბრუნდეს ის ფული რომელიც გადაიხადეთ თავის დასახსნელად. ჩვენში საზოგადო ფული არ არის, გაქირვება დღი გვაქვს, აქეთ ვცემებით, იქით ვცემით და თუმში ათ შაურს ვიხდით თვეში; მევანაშეობენ ვაჭარები და ხუცები უფრო, თუმცა არიან გლგხებიც (კრამ-გირგი: შეიძლება სახელმწიფო ბანკი დადგებოთ გამსახდელი კასის დაარსებით, რომელიც მცირე სარგებელს აიღებს).. ეს მცირეც სიდან მივცეთ? თუ სახელმწიფოს დახმარება უნდა, იმის მაგიერ რომ ჯერ გადაიხადდეთ და მერე მევე დამხმაროს, ის არა საჯობია გადასახადები მოიპოს და ნურაფერს გადაიხდენენებს?..

გლგხების განთავისუფლების დროს აქეთ-იქით ჩამოსკრები იმ მიწებს, რომელიც გლგხს ხელში იყო, და ეს ნაჭრები თვად-აზნაურობას დარჩა, მაგრამ ისე, რომ დღეს გლგხის ადგილი ყოველის მხრით გზა-შეკრულია, არც გზა აქვს, არც წყალი.



მემაჟულე სარგებლობს ამით და ავიწროვებს გლენს. ეს ჩამოხაჭურა მიწება უნდა დაუბრუნდეს გლენსს.

ამ ადგილების მისაზომად, რასაკვირველია, ვერ მივძარბათ თვად-აზნაურობას, მის ადგილს თვითონ როგორ გადმოგვეცემს. ამისთვის არც პოლიცია ვარგა. უნდა დაარსდეს სავანგებო კომისიები მიულ-გომული კაცებისაგან.

ამისთანავე უნდა შემცირდეს აფარის ფასი, იჯარის ფასის დადგენა უნდა მიენდოს სასამართლოებს, უნდა მოისპოს სალერობო და სხვა.

გვიკირს, ათასნაირად შევიწროებულ ვართ, მაგრამ ხმის ამოღება არ შეგვიძლია. როგორც რა-სიმე ვიტყვი, გვეცემენ, გავტუსაღებენ უსამართლოდ, კაცად არავენ გვთვლის. უნდა მოგვეცეს ადამიანობა ჩვენც და ყველა ჩვენსავით დაჩაგრულ ხალხს, ყოველი ჯანმანა უნდ, იუთს თავსუფალი და ხელშეუწყებელი.

რამე საქირობა გვაქვს, გვინდა შევიკრიბოთ, მოვილაპარაკოთ, როგორ ვუშველით ჩვენ თავს, მაგრამ ეს არ შეიძლება, ეს „ბუნტობააო“. ზოგიერთებს აქვთ შეკრების უფლება, ამას წინადა ოზურეთში მემაჟულეებს კრება ჰქონდათ, როგორც ეროქმელთა ყაზილარების (გლენების) წინააღმდეგო. მაგრამ გლენებს კი არ მოგვეცეს ნება, რომ ჩვენც შევეკრებოდათ თაი თაი დაგვეფარა თვად-აზნაურობისაგან. ვინმე თუ თქვა, მთავრობა არ ვარგა, ეს გადასახადი მოისპოსო, მაშინვე დაიჭერენ. არიან კაცები, რომლებმაც მისწერეს ვაზეთებს ჩვენი ამგების შესახებ, მაგრამ არც ერთი არ დაიბეჭდა, რადღაც „დამოუკიდებელი მიწუხების გამოაო“. ჩვენში ხშირად მოაკეთ დაბეჭდილი ფურცლები, შოგ ძალიან კარგი საქმეები სწორია, ჩვენთვის გამოსადგვი და სასარგებლო მაგრამ ეს აკრძალულია ვისაც ამ ქალაქებს უნახავენ ხელში, იჭერენ და ციშიბრში ჰკაზვნიან. უნდა შეგვეძლოს თავისუფლად ლაპარაკი, შეკრება და წერა, საქირობა თავისუფლება კრების, სიტყვის, ბეჭდვის.

უნდა მოისპოს ზანმარტები, თავისუფლად უნდა შეგვეძლოს წასვლა-წამოსვლა. რამე ვალი გვაქვს, ფული გვეკირა, გვინდა ქალაქში წავიდეთ სამუშაოდ, რომ ეგებ ორი ფარა ვიშოვნოთ, მაგრამ არ გვიშვებენ, ჯერ ვალი გადაიხადეთ, ზანმარტი აიღეთო. ფული არა გვაქვს, ფულის საშოვართ

მივდივართ და ჯერ ფული გადაიხადეთო. ვის გადავხდით გონიან?

დაგენავრავს ვინმე, მივდივართ საშინაოში, მაგრამ საშინაოლი არსად არის, მოსამართლეს ჩვენებური არაფერი ესმის, კანონი არ ვარგა ქრთამით და მოყილდით კეთდება ყველაფერი; ვინილებთ და ჯერ ეს გადასახადი და ბაეი შემოიკრანეთო. მერესადა გვაქვს ეს ფული? (კრიმ-გირე: მე გამიგონია, რომ ძალიან აბრკოლებს საშინაოლს ის გარემოება, რომ მოსამართლემ არ იცის ხალხის ენაო)... ენა რას გააკეთებს, თუ მოსამართლე და კანონი არ ვარგა. ბათუმში მემაღედ ვიყავი (ამბობს ერთი დეპუტატი), ბალის ჰატრონმა 23 მანეთი წამართვა, ვინივლეთ, ფული თუ მოუკია კვირტა ეწინააღმდეგო, მაგრამ ჰატრონმა რაღაც უბის წიგნი წარადგინა და მოსამართლემ უარი მითხრა, თუმცა მოსამართლე ქართველი იყო. (კრიმ-გირე: რატომ არ გასანიერე?)... გასანიერებისათვის გირაოა საქირო, და მე ფული არ მქონდა.

ასეთ მოსამართლების მაგიერ უნდა იყვნენ ხალხის მიერ არჩეული მოსამართლეები.

ჩვენისთანა ღარიბ ხალხს ყველაზე უფრო ესაქირობა სწავლა-განათლება, რომ თვლი ავიხილიათ, კარგი დავინახოთ, ვინ არის ჩვენი მტერი და მოყვარე და შეგვეძლოს თავი დავისნათ გავივრებისაგან. მაგრამ განათლებისათვის დღეს ფულია საქირო, ჩვენ კი ფული არა გვაქვს. ამიტომ უნდა დაწესდეს უფასო, საყოველთაო და საუკლებული საწავლებლო ორივე სქესის ბავშვისათვის 16 წლამდის.

ჩვენ სახელმწიფოში ამდენი ჯარა და საღადათა, ყველას ინახავს და არჩენს მშრომელი ხალხი. სალდათი მიჰყავთ ჩვენი ოჯახიდან და გვაკლდება მუშა კაცი მიჰყავთ ჩვენი ძმები საღადაც უღესეთში, საღადასხვა ჰავა, ცხოვრება, ჩვენებურები ვერ ეთვისებიან იქაურობას და უდროვოდ იხოცებიან. ამოვიღებთ ხმას, მეამბოხნი ხართო და ჩვენს ძმებს ჩვენვე მოგვისცვენ. არ გვინდა სალდათობა ნურც ნურავის ვახლებთ ხელს, არც არავინ გვახლებს. ეხლა ომი, ყველა ამბობს ჩვენი ბრალიაო; რას ვერჩოდით, რა გვინდოდა იქ. ციშიბრის რკინის გზაზე ათასი მილიონები დაიხარჯა და ციშიბრში კი არავინ სახლობს; ჯერ დაეხადლდეთ, მერე დაეხარჯოთ გზებზე ამდენი ფული. არ გვინდა სალდათობა და თუ საქირო იქნება, ყველანი გამოვალთ სამშობლოს დასაცველად.



დღევანდელ მთავრობას არაფერი ესმის ჩვენს, არც ერთს ჩვენ საქიროებას უტრადლებას არ აქცევს, არ შეგვიძლია ანგარიში მოვთხოვოთ, რამე ვუთხრათ. რასმე ვამბობთ, არ გვიგონებენ, გვცემენ, გვატუსალებენ, ვეგუკუკიას გვიყენებენ. არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენს საქიროებაზე. მთავრობას ერთი პასუხი აქვს ჩვენთვის—მთარახი... ასე ცხოვრება შეუძლებელია: მთავრობა მაშინ იქნება კარგი, როდესაც იგი ხალხის არჩეული აქნება და მოწონებული, უნდა შეგვეძლოს პასუხი და ანგარიში მოვთხოვოთ მთავრობას, ამიტომ უნდა შემოვღებულ იქნას ხალხის მიერ საყოველთაო, დახურულის და პირდაპირის კენჭის ყრით არჩეული მთავრობა. ამასთანავე, რადგან ყოველი ადგილის მცხოვრებს უკეთ შეუძლიათ ადგილობრივი საქმეების მოწყობა, ამიტომ უნდა დაწესდეს აგრეთვე ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა.

(კრიმ-გირეი: პატრის უნდა სცემდეთ კანონს, ვიდრე იგი არსებობს, უნდა ენდობოდეთ მთავრობას). როგორ უნდა ვსცემდეთ პატრის იმ კანონს, რომელიც მთარახის სახით არსებობს ჩვენთვის! მთავრობა რომ ვენდეთ, არაფერი გამოვიდა, უფრო დავიღუს პეთ. საშობაოთ გუბერნატორმა შამოგვითვალა, მოვდივარ და კანცელარიაზე დილის 8 საათზე დამხვდითო. გათენებამდის შევიყარეთ თავი, ვუცადეთ, ვუცადეთ და ძლივს ვედირსეთ საღამოს მის ნახვას. მოვარდა ფაიქონი, შევიდა კანცელარიაში, გამოვარდა და მერე დავევიყირა, რა გაწუხებთო. პასუხსაც არ მოუცადა. გავარდა, წავიდა სახლში... რამდენჯერმე ვიჩილეო მაზრის უფროსზე, ბოქაულზე, მაგრამ უტრადლება არავენ გვათხოვა... ამას წინად ვოდესია მინისტრსაც გაუგზავნეთ ქალადლი აქციონის შესახებ, მეორე მინისტრსაც მივწერეთ დღევანდელმა ბიბლიოთეკის დახურვის თაობაზე, მაგრამ არც ერთმა პასუხი არ გვადირსა...

ჩვენ ვთხოვლობთ იმას, რასაც მთელი რუსეთი. რაც ჩვენში ამაჟია, ისეა სხვაგანაც... ამას არ გვიმალავდა მაზრის უფროსიც, რომელიც ვემტკებოდა, ყველას მთარახით გაგწყვეტოთ აქაც და რუსეთშიცო. ჩვენი მოთხოვნითავე საერთოა, საზოგადოა, უნდა შეიცვალოს დღევანდელი წესწყობილება და დაწესდეს ახალი, რისთვისაც უნდა მოწვეულ იქნას მთელი ხალხის წარმომადგენელი დამფუძნებელი კრება. (უნ. ფურც.)

«კავკასი»-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობები:

I

„რადგან გურიისა და იმის მახლობლად მდებარე ადგილებში არ ისპობა მოძრაობა; საქიროდ ვცანი ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა და ბათუმის ოლქის კინტრონის ნაწილი ჩამოერთვის ქუთაისისა და ბათუმის გუბერნატორებს და დაექვემდებაროს, სამოქალაქო საქმეებში, სრულ მშვილობიანობის აღდგენამდე, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარი მყოფ გენერალ-მაიორ ალიხანოვს, რომელსაც გუბერნატორის უფლებანი მიენიჭა“.

მთავარ-მართველის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი მაღაძე.

II

«ამ უკანასკნელ სამ წელს გურიისა (ქუთაისის გუბერნია ოზურგეთის მაზრა) და იმის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში დაიწყო გლახობა სააგარო მოძრაობა შემამულეთა წინააღმდეგ. შემდეგში ეს მოძრაობა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებად გადაიქცა. ამ ნიადაგზე მოხდა მრავალი პოლიტიკური მკვლელობა განიზრახეს მოკლა მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სამღვდლო პირებისა ვაზნორად აგრეთვე ძარცვა-გლეჯა, ცეცხლის წაკიდება და სხვა. კავკასიის უმაღლესს მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა მცხოვრებთა დასამშვიდებლად სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო: ბოროტი პროპაგანდა არ მოისპო და დღეს უკვე აქარა ამბოხებდად გადაიქცა კანონიერ წესრიგის წინააღმდეგ».

ამის გამო კავკასიის უმაღლესი მთავრობა იძულებული გახდა სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივ მშვილობიანობის აღსადგენად მიეღო საგანგებო ზომები. კავკასიის უმაღლეს მთავრობის 18 თებერვლის ბრძანებით (№ 15), ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა და ბათუმის ოლქის კინტრონის ნაწილი ჩამოერთვა ქუთაისისა და ბათუმის გუბერნატორებს და მშვილობიანობის აღდგენამდე სამოქალაქო საქმეებში დაექვემდებარა გენერალ-მაიორს ალიხანოვს, რომლის განკარგულებაშიაც გაიგზავნა განსაკუთრებული ჯარი. მაგრამ ვიდრე გენ. ალიხანოვი საქმეს შეუდგებოდეს, მთავარ-მარ-

თბილის თანამდებობის აღმასრულებელმა შესაძლებლად სცნო მიჰმართოს უკანასკნელ საშუალებას — მცხოვრებთა შთავაზენას, რომ დაემორჩილნენ კანონებს და დადგენილ მოხელეებს. ამ აზრით გენ. ლეიტენანტმა მალამამ ვაჰაბანი ოზურგეთის მზარაში მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტინი სოვეტნიკი სულთან-კირი-გირიყი, რომელსაც დაევილა მოიაროს გურიის სოფლის საზოგადოებანი, გაიკნოს მცხოვრებთა საჭიროებანი, გამოარკვიოს უკმაყოფილების მიზეზები და გამოაცხადოს, რომ ყველა კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილები, რაც-კი მთავარ-მართებლის უფლებებზეა დამოკიდებული, დაუყოვნებლივ იქნება დაკმაყოფილებული. ის შუამდგომლობანი-კი, რომელთა გადაწყვეტაც მთავარ-მართებელს არ შეუძლიან, ეცნობება მისს იმპერატორებითი უღიდებულესობას“.



„ღმერთმა მოგვცა“

(რუსულიდან).

შემდეგ ყინვა ქარ-ბუქისა, რომელიც რამდენიმე კვირა გძელდებოდა, თბილი დღეები დადგა. სოფელ რასტრუბინოს გლეხებმა, როგორც იყო, თავისუფლათ ამოისუნთქეს: შეეძლოთ ქალაქში შეშა წაფელთა; შეეძლოთ იაკობ ანდრეიჩის, რომელიც ამ სოფელში პირველ მდიდრათ ითვლებოდა, საქონლის მოსატანათაც წასულიყვნენ. მართალია, იაკობ ანდრეიჩი თავისს მეზობლებს, ცოტა არ იყოს, ნაკლებ ქირას აძლევდა ხოლმე, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, სულ არაარაობას ცალი უღელი ხარი სჯობიაო.

მოსალამოვდა; საშხარეულოში შევიდა იაკობ ანდრეიჩის მოჯამაგირე, რომელსაც ხელში რალაცა უცნაური ფუთა ეჭირა. იაკობ ანდრეიჩმა მოჯამაგირეს გამოხედა და აი ამ დროს ფუთიდან იმის ბალღის ტირილი მოესმა.

— აი ბატონო როგორი ღეთის წყალობაა, უთხრა ეგნატემ.

— რა წყალობაა? მრისხანეთ შეეკითხა იაკობ ანდრეიჩი.

— ღმერთმა ბავში მოგცათ; დერეფანში ვნახე მიგდებული. წაიყვანე და მოუარე: შვილი მიანც

არ გყავს და... მოხუცების დროს ნუგეშობა მოგვცემს.

— წაუყვანე მამასახლისს, დაუყვირა იმან.

— რა დროს მამასახლისია... მამასახლისი ნაცვალზე მიგიშვებს ხელს, ნაცვალი კიდევ გზირაზე... ბალღს-კი ამსობაში თავისი ვადაუწყვდება. ღმერთმანი არა უშვებდარა, იაკობ ანდრეიჩი, რომ აგეყინა. ღმერთი ამას არ მოიძულებს, შენც სამაგიეროს მოგანიჭებს. ასე ელაპარაკებოდა გულკეთილი ეგნატე და თანაც ულაზათოდ ბალღს ფუთნიდა, მაგრამ იაკობ ანდრეიჩს ვაგონებაც კი არ უნდოდა.

მამასახლისმა საჩქაროთ მოახდინა ყრილობა და ყველას, ვინც კი სოფელში ცოტათ თუ ზევრათ შექმლებული გლეხი იყო, სთხოვა აეყვანათ ვასაზღვლათ ბავში, მაგრამ არავინ დასთანხმა. მაშინ მამასახლისი ხუმბრობით ივანეს მიუბრუნდა.

— შენ მინც არ აიყვან ამ ბალღს ივანე? შეეკითხა მამასახლისი. მთელ სოფელში ივანე ყველაზე უფრო ღარიბი გლეხი იყო. იმას ექვსი შვილი ჰყავდა; მეშვიდე-კი ეს-ეს არი, რაც მოუყვდა.

— რატომაც, შეიძლება, მიუგო ივანემ და ბავში მიიღო.

გლეხები გავირდენ. ივანეს ზოგი ძრახავდა; ზოგი იბრალებდა, ზოგი კი ამბობდა: კაცი ნამდვილ „გამოყვებულს“ უნდა იყოს, რომ ამდენ ბარხლებს პატრონმა კიდევ სხვა აიყვანოსო.

ივანე წაიდა სახლში.

მისმა ცოლმა ლუკერიამ, რომელსაც დიდხანი არ არის, რაც ძუძუს ბავში მოუყვდა, და რომელიც ამიტომ ხშირათ სტიროდა და დარდობდა ხოლმე, ძალიან გაიხარა, ივანემ რომ მიგდებული ბავში სახლში მიიყვანა.

— ივანე! ეს ნამდვილათ ღმერთმა ჩენი ანდროს მაგიერათ მოგცა, უთხრა იმან ქმარს. ლუკერიამ ბალღს ძუძუ აწოვა; ბავში შეთბა და მიეძინა.


ბალღმა რომ გამოიღვიძა, ლუკერიამ გააძრო პერანგი, უნდოდა გამოეცვალა და აი ამ პერანგში, ორივე მხარეზე, იღვებქვეშ ნახა ბლომათ გამოკერილი ოცდახუთ-მანეთიანი ქალღღის ფულები. ივანე ისე შეაშინა ამ ამბავმა, რომ საჩქაროთ გაეშურა მამასახლისთან, რომელსაც ყველაფერი უამბო. მოახდინეს ყრილობა. ასტყდა საშინელი აურ-ზაფრი. ზოგს ეხარბებოდა ივანესთვის ეს ფულები;

ზოგი კი სულით და გულით მოხარული იყო, რომ ღმერთმა ასე დააჯილდოვა ეს კაცი მისი გულკეთილობისათვის.

იაკობ ანდრეიჩმა რაღაც უეცრათ იგრძნო ბალღისადმი სიყვარული და ყველას ეგვიწებოდა იმისთინ მიეცათ ეს ბავშვი, თანაც უმატებდა, როგორც ბატონიშვილს, ისე მოუვლიო. მაგრამ ისეთი დანაშაულებით მიესიენ ყველანი, რომ ამან საჩქაროთ მიატოვა იქაურობა და შინისკენ გაეშურა. გლეხებმა იყბედეს, იყბედეს და ბოლოს ვადასწყვიტეს ეს ფულგები ივანეს დარჩეს, როგორც უნდა ისე მოიხმაროს, ბალღს კი კარგათ მოუაროსო. დიდხანს, ძალიან დიდხანს ლაყობდნენ გლეხები ივანეს ბედნიერებაზე... ლუკერია კი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ბალღი იმას პირველ დანახვებდე შეუყვარდა და ახლა ხომ, როცა დაინახა, რომ ოჯახს ფეხზე წამოაყენებენ, — ყველაფერი ეჭვებით — აღარ იცოდა რა ექნა, ღმერთისთინ რა მადლობა შეეწირა; ის ერთსა და იმავე დროს კიდევ სტიროდა, კიდევ იცინოდა და თავისს შეიღობილს თვალს წუთსაც აღარ აშორებდა.

მაგრამ რასტრუბინოს გლეხებსა და ივანეს ერთხელ კიდევ შეხვდათ შეჩოჩქოლებმა. სწორეთ თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ეს მიგდებული ბავშვი იპოვნეს და აი ივანე დებულობს უწყებას ფოშტიდან, გამოცხადდი და მიიღე ასი მანეთი, რომელიც შენს სახელზეა მოსულიო. ივანეს მთლათ თავბრუ დაესხა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს ფულგები გამოგზავნილი იყო მისგან, ვინც ბავშვი მიაგდო. ივანე წავიდა და ფულგები მიიღო. ამის შემდეგ აი ეს მესამე წელიწადი, რაც ივანე დრო გამოვებით დებულობს ას-ას მანეთს, რომელსაც ვიღაცა იმის სახელზე გზავნის.

მღე. ბ. კაპანაძე.



შურნალ-გაზეთიებიდან.

ამას ამბება, ამბობენ რომ იაპონიის 4 დეიზის რუსის არმიის მარჯვენა ფრთისათვის გვერდიდან მოუვლია და მუკდენიდან 18 ვერსტის მანძილზე დასავლეთით სოფ. სალინაუ (იგივე შალინაუ) აულია. რუსებს ჯარი გაუგზავნიათ სალინაუსკენ და იაპონელები შეუყენებიათ. გენ. კუროპატკინი იუწყება, ღონისძიება მივიღე, რომ იაპონელებმა გვერდიდან არ მოგვიარონო. ტიანძინში ჩინელებს-კი სულ სხვა ცნობა მიუღიათ მუკდენიდან: იაპონელებმა თითქმის ქალაქამდე მიაღწიესო. რუსებმა მაშველის ჯარის შემწეობით რამდენიმე პოზიცია დაიბრუნეს, მაგრამ იაპონელებმა ხელ-ახლად წაართვესო. რუსებს სადგურ ჩანტანთან (იქნება სანტანცუი იყოს, მუკდენის ჩრდილოეთით) მაშველი ჯარი მოუვიდათო.

იაპონელებს ქალ. სინშინტინიც აულიათ; იმათი უმთავრესი ჯარი—10 ათასი კაცი—სინშინტინის სამხრეთ-აღმოსავლეთით დამანაკებულია და 18 თებერვალს დილით წინ გაულაშქრია, ალბად, ეს ჯარიც მუკდენისაკენ წავიდა.

ინგლისელი კორესპონდენტები იუწყებიან, მართლდება ის ხმა, რომ იაპონელები ტაკუმენის (იგივე ფაკუმენი ტელინის დასავლეთით) მიდამოებში მისულანო...

ამ ეამად იაპონელები სამის მხრიდან, აღმოს. ვლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან რკალივით შემოერტყენენ რუსის არმიას და თუ იაპონელები მართლა ასე ახლო მისულან მუკდენთან, რუსის არმია მალე დაიძვრება ჩრდილოეთისაკენ...

16 და 17 თებერვალს მეტად გამწვავებული ბრძოლა ყოფილა... რუსის კორესპონდენტი იუწყება სახეტუნდიან, ორსავ მხარეს დიდი ზარალი მოუვიდაო. გენ. კუროპატკინი კიდევაც სწერს: იაპონელების არტილერია მკირე ზარალს გვაძლევსო...

ესლანდელ ბრძოლაში სულ მკირედ 700 ათასი კაცი იღებს მონაწილეობას და 2500 ზარბაზანი ჰქუხს, კორესპონდენტები თითქმის ერთხმად ირწმუნებიან, რუსებს მეტი ჯარი ჰყავთ იაპონელებზეო. „რუსეთი ვედომოსტი“-ს სახმედრო მიმოხილველის ანგარიშით, გენ. კუროპატკინს ამ წამს 175 ათ. კაცი ჰყავს და 1453 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცხნელი აქვს, რამდენი ჯარი ჰყავთ იაპონელებს,



მაზე სწორე ცნობა არ მოსულა; არც ის ვიცი
სწორედ, რა ადგილას მოქმედებენ გენ. ნოვის არმია.

ესლანდელი ბრძოლა სულ ყველა წინანდელ
იდელ ბრძოლას გააფასებს. ეგაა იაპონელებს ემინიათ.
ვინ თუ გენ. კუროპატკინი დიდ ბრძოლას მოერი-
დოს და მალე დაიხიოს ჩრდილოეთისაკენაო. იაპო-
ნელებს ესლავე გული უტუტობთ, რომ იმითა „ხმალი
გასტკის“.

„ნოვოე ვრემია“-ს მიმომხილველი-კი დარწმუ-
ნებულია, რომ გენ. კუროპატკინი უკანასკნელ
სისხლის წვეთამდე იბრძოლებს და უკან არ დაიხევს.
უკან დაიხევს რომ აპირებდეს, მუცდენში მრავალ
საწყობს არ გამოპარავდა და პოზიციებზე საალყე,
ძმინე ზარბაზნებს არ დასდგამდაო. (ნ. ვ.)

რუსეთის დამარცხების მიხედვით. „ომის დასა-
წყის მთელი ქვეყანა გაკვირდა,—სწერს ვახეთი
„დელო მეილი“,—როგორც აზიის პატარა და ნა-
ხევრად განათლებულმა ქვეყანამ, იაპონიამ გახედა
და ხმელეთის უღიდეს სახელმწიფოს—ბუმბერაზ
რუსეთს ომი გამოუცხადაო! უმეტესობა მაშინვე
ცერად უკუვრებდა იაპონიას და დარწმუნებული
იყო, რომ ორივე თვის შემდეგ ჩრდილოეთის
ბატონი კანდიერსა და თავებდ იაპონიას ვასტკისავს,
გასტკელტავს და ზაის პირობებს ტოკიოში დასდებს.
რუსეთის რევოლუციონური და დაბრმავებული პრესა
და მედრობის უმეტესობა ქვეყანას არწმუნებდნენ,
ესლანდელი ომი რუსეთის ჯარის სერიზობა იქნებოა.
იგივე პრესა ზიზლით, სიძულვილითა და სიბრახით
იყო გავეთლიბი და კუროპატკინს სთხოვდა, დიდ-
სულოვნება, სათნოება და კეთმოყვარეობა გამოი-
ჩინეთ, გაგეებული იაპონია შეიბრალეთ, ბეჭური
თავებდობა აპატიეთ და ძალიან სასტკად ნუ დას-
ჯითო. მაგრამ... „იაპონიამ“ ცეცხლ-მოკიდებულ
რუსეთს ცივი წყალი გადაასხა, აღტაცება ჩაუქრო,
ჩააფიქრა და ძილი დაუფრთხო.

მართლაცა და, როგორც და რა სასწაულით
მოსდა, რომ 40 მილიონმა 150 მილიონი დაამარცხა,
საქვეყნოდ შეარცხინა და თავზე ლაფი გადასახა?
იაპონია ადგილ-მამულით რუსეთზე 50-ჯერ ნაკლე-
ბია, კავკასიაზედაც კი პატარაა, სახელმწიფო შემო-
სავალი რუსეთის შემოსავალზე სამჯერ თუ ოთხჯერ
ნაკლებია, ჯარიც რამდენჯერმე ნაკლები ჰყავს,
მეგრამ მაინც გამიმარჯვა, სადაც კი რუსეთის ჯარს
შეხვდა—დაამარცხა და წყნარ ოკეანეს, ლიაოლუნსა,

კორეისა და პორტ-არტურში ამომავალ მზის ქვე-
ყნის დროშა ააფრიალა. პატარა იაპონიის გამარჯ-
ვებისა და ბუმბერაზ რუსეთის დამარცხების უმთავ-
რესი და ძირითადი მიზეზი—ორივე სახელმწიფოში
სახელმწიფო წესწყობილებისა და რეჟიმის სხვა-და-
სხვაობაა. იაპონიის მართვა-გამგეობა დამყარებულია
ხალხის ავტოკრატიის პრინციპზე; რუსეთში კი—
ლეგიტიმიზმისა და განუსაზღვრელ უფლებათ მოკულ
ბიუროკრატიაზე. იმ დროს, როცა გაერთიანებულ
იაპონიის ერი იმისი წარმომადგენელი და მთავრობა
მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ სახელმწიფოში
რაც შეიძლება მეტი განათლება და კულტურა შე-
ეტანათ, დაქუცმაცებულ რუსეთის არა-მკითხვე ბიუ-
როკრატია მთელ თავის ძალას ხალხში სიბნელის
დაცვას, შინაურ მტრებთან ბრძოლასა და ევროპიდან
წამოსულ განათლების სხივების ჩაქრობას ანდომე-
ბდა. ბიუროკრატია მთელ თავის ყურადღებას აქცევდა
თავის თვითნებობისა და ძალმომრეობის განმტკი-
ცებასა და დაკანონებას. ხალხთან ბრძოლა იაპონი-
ციული ბიუროკრატია იაპონიასთან საბრძოლველად
ვერ მოემზადებოდა და აკი ვერც მოემზადა.
რუსეთი პირველ ხანს არ იყო მომზადებული და
ვფანჯგოლსთან დ იალღზე დამარცხებას ამით სხნიდა,
მაგრამ დაშიზონს რა იყო, ხაიჩენი რალა იყო, ლია-
ოიანი, პორტ არტური დ ინტაიც მოუშადადებლობით
აიხსენება? სრულიადაც არა! ლიაოიანისა და ინტაის
ბრძოლისთვის რუსეთი მშვენიერად იყო მომზადე-
ბული და იაპონელებზე მეტი ჯარიც ჰყავდა, მაგრამ
მაინც დამარცხდა. რუსეთის მუღვივ დამარცხების
ძირითადი მიზეზი ამ ბრძოლების დროს ნათლად
გამოჩნდა. როგორ უნდა გამიმარჯვა განუათლებელ
რუსეთის განუათლებელს ხვარეს, უვიცსა, ყოველ-
გვარ ინიციატივას მოკლებულსა და ღვთის იმედზე
აღზრდილს ჯარს? როგორ უნდა დამარცხებინა
უსულო მაჩქანას განათლებულ იაპონიის განათლე-
ბული, მარდი, ცოცხალი, განვითარებული, სამშო-
ბლოსადმი სიყვარულით აღფრთოვანებული და სა-
კუთარის ინიციატივით აღჭურვილი იაპონელი ჯარის
კაცი? ყოველ იაპონელს მშვენივრად ესმის თავის
მოვალეობა, თავის მნიშვნელობა და ნათლად აქვს
გაივალისწინებული ესლანდელ ომის აზრი და მი-
ზანი. იაპონელი აფიცერი ხელმძღვანელი მეგობარია
ჯარის კაცისა და იმის ინიციატივისა და თვით-მო-
ქმედების იმედიც აქვს. რუსეთის ჯარის კაცი კი



სახოვადოთ ყოველთვის და კერძოთ—ცხლანდელ ომში მხოლოდ უსულო მანქანა და მორჩილი იარაღი ისევე უსულო და მორჩილ აფიცრსა. რუსეთის ჯარის კაცს სრულიად არ ესმის ამ ომის მნიშვნელობა და აზრი. ის იბრძვის მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძანებას ვერ წაუვა და მთელი იმის აზროვნება, ფიქრი, სიცოცხლე და ყოველ ნაბიჯის გადადგომაც კი უფროსის ბრძანებაზე და მოკიდებული. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს უფროსიც იგივე მორჩილებით, რეჟიმითა და იგივე უსულობის პრინციპებზეა აღზრდილი; რუსეთის აფიცერი მთელ თავის სიცოცხლესა და ძალღონეს თავის გარეგნობას, მუნდირსა და ქალებს ანდობენ. იმისთვის ჯარის კაცი მხოლოდ თავის ბრძანების და ობიექტია; აფიცერი და ჯარისკაცი ერთმანეთისათვის უტხო და გაუგებარ ერთი ელპარაკებიან, ანუ, უყუთ რომ ესთქვათ, სულაც არ ელაპარაკებიან. რუსეთის ჯარში გამეფებულმა უმცროს-უფროსობის პრინციპმა და იერარქიუმმა კიბემ შექმნა უძირო უბსკრული; ამ უბსკრულის ერთ მხარეს დგანან უფროსები, მეორეზე — უმცროსები და უნდათ, რომ შეერთდნენ და იაპონია დაამარცხოვნ, მაგრამ ეხლა ამ უბსკრულის ამოკლება გვიანდა: უმცროს-უფროსებს ერთმანეთის ლაპარაკი არ ესმით. ამავე ნიადაგზე აღმოცენდა უფროსების უთანხმოება და შუღლი. ბიუროკრატიაში თავის უსულო იარაღს—ჯარს საჭირო იარაღიც კი ვერ მისცა. ჯერ ამბობდნენ; სამთა ზარბაზნები არა გვეკონ და და ბრძოლაც სწორედ ამიტომ წავაგეთო. მევე ბრიზანტის ყუმბარები მოუნდათ, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა და ბრძოლა ისევე წააგეს, ეხლა დიდი ზარბაზნები აკლიათ და დამარცხდებიან კიდევც; მაგრამ საქმე იმაში არ არის: რუსეთს საუკეთესო იარაღიც რომ ჰქონოდათ, სულ ერთია, ეს იარაღი იმითთვის გამოუსადეგარი იქნებოდა. როცა ჯარმა იარაღის ხმარება არ იცის, ამ ჯარს თუნდ გაუხერხის თოფი მიეცით, თუნდ ჩახმაზიანი. რუსეთმა გემიკი შეიძინა, მაგრამ მათი ტარება და მოხმარება ვერ მოახერხა. რუსეთის განათლებული მესზღეაური რთულს მანქანას—თანამედროვე გემს ვერ მოერევა და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გემის ხან ერთ ნაწალს გააფუჭებს და ხან მგორეს. რუსები ევრეც შერგებოდნენ. ზღვაში გავიდოდნენ თუ არა, თავიანთვე ნაღმს აწყვედობდნენ და იღუპებოდნენ, ან ნაპირზე ირიყებოდნენ, ან კლდეს ეჯახებოდნენ და ამ

რიგად ერთ წლის განმავლობაში პორტუგალიელებს ესკადრის დაღუპვის თვითონვე ხელი შეუწყეს. რუსეთი ას მილიონობით ხარჯავს სურსათსა და სამხედრო მასალაზე, მაგრამ რუსეთის ჯარი მანჯურიაში მაინც მშვიერ-ტიტველია, ან არა და ჩინელების კაბებიითაა მორთული და თავსაც ჩინელებისაგან წართმეულ სურსათით იკვებავს. ამ ჯარს დროზე არც პური მისდის და არც ყუმბარა; ამის მიზეზი კი ყველაზე კარგად რუსეთის საიმტენდანტო მოხელე უნდა იცოდეს.

ეს იყო მიზეზი რუსეთის განუწყვეტელ დამარცხებისა. რუსეთს შეუძლიან დაამარცხოს მხოლოდ თავისთანავე გაუნათლებელი და დაქვეითებული სახელმწიფო; შეუძლიან დაამარცხოს სპარსეთი, ოსმალეთი და ჩინეთი, განათლებულ სახელმწიფოებს—გერმანიისა, ინგლისისა, ამერიკისა, საფრანგეთისა და იაპონიის და მარცხება აიას დროს არ ელირსება. რუსეთი თითქმის ყოველ დღე აცხადებს, ევროპის განათლება არ მინდა და არც განათლებიო; ამიტომ დანამდილეობით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი არა თუ ვერას დროს ვერ გაუსწრობს განათლებულ სახელმწიფოებს; არამედ ვერც კი დაეწევა და ამიტომ ყველა განათლებული სახელმწიფო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსეთი მხოლოდ რუსეთისთანავე განათლებულ ოსმალეთისა და ჩინეთისათვის იქნება საშიშო. (ნ. დ.) (ტ. ფურ.)

გაზეთ „რუს“-ის № 33-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილები კავკასიის მდგომარეობისა და საქართვებთა შესახებ; ამ წერილების გამო რედაქცია თავიი მხრით დასცენს:

„დღეს ვეშეძლება რამდენიმე წერილს კავკასიის საკითხების შესახებ: ერთს—სომხისას; ორს—ქართველებისას; უკანასკნელთა წერილები უფრო დასაბუთებულია და მეტრეტყველ სურათს გვიხატავენ. წერილები სავულისხმიეროა არა მარტო ჩვენთვის, რუსებისათვის, არამედ პოლონეთისათვისაც. პოლონელებს ჰგონიათ, რომ რუსეთი მათ ავიწროებს იმის გამო, რომ პოლონეთი ამ 40 წლის წინად აჯანყდა და რუსეთის მთავრობა სამაგიეროს უბნის ეხლაო. რუსებსაც ეს გარეშობა მაინცათ პოლონეთის შევიწროების მთავარ მიზეზად და ამასთანავე ბერს ხსნიან კათოლიციზმის ინტრიგებით. მაგრამ წაიკითხეთ ქართველთა წერილები და დინახავთ,



რომ პოლონეთისა და რუსეთის საზოგადოებანი სცდებიან პოლონეთის საკითხის ახსნაში. თქვენ დაინახავთ, რომ საქართველოს მდგომარეობა, — იმ საქართველოსი, რომელიც თავის ნებით შეუერთდა ერთ მორწმუნე რუსეთს და არასოდეს არ აჯანყებულა, — იმგვარივეა, იმგვარივეა როგორც პოლონეთისა; თქვენ დაინახავთ, რომ საკოდავი საქართველო, რომელმაც ბევრი სახელოვანი მოღვაწე მოგვცა და ბევრი სისხლი დაღვარა ჩვენის სახელმწიფოსათვის, იმგვარსავე უნუგეშო მდგომარეობაშია და იმგვარსავე განსაკუთრებულ ყოფაში გვყავს ჩაყენებული, როგორშიაც „კემაზოხე“ პოლონეთია. პოლონეთშიცა და საქართველოშიც ერთნაირი რეჟიმი სუფევს და ამიტომაც ორივე ერის ჩივილი ერთმანეთს წაგავს...

პირველად ყოვლისა ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოშიც უაზროდ და უსარგებლოდ სდევნიან და შეურაცხყოფენ სამშობლო ენას ვითომ იმ აზრით, რომ სახელმწიფო ენის დასამკვიდრებლად არის ეს საჭიროო, სამშობლო ენის დევნა ერთნაირად სწარმოებს საქართველოსა და პოლონეთში, — იმდენად ერთნაირად, რომ იქაც და აქაც ადგილობრივი ენა რუსებმა „ძალღურ“ ენად მიიწოდეს ყოვლისა საქართველოშიც. სულ ესუდათ უფროსა დაქვემდებელი, როგორც პოლონეთში, ისევე პედაგოგიურ პრინციპებისა და საღ პოლიტიკურ სისტემის წინააღმდეგ; იქაც და აქაც სწავლება იწყება ბავშვისათვის გაუგებარს ენაზე და ამიტომ პირველსავე ნაბიჯიდან სწავლება ტანჯვად ხდება. სამშობლო ენა იჩაგრება არა მარტო სკოლაში, თუთა ეკლესიაშიც; თურმე მართლმადიდებელი ქართველები ამ მხრით იმავე გაჰვირებაში ჩაეკიყენებიან; როგორც კათოლიკები: ქართულ მართლმადიდებელ ტაძრის აგებაც ისეთივე ძნელი საქმე ყოფილა რუსეთში, როგორც კათოლიკეთა კსტიოლისა. სასამართლოს საქმეშიაც შევიწროებულია ქართული ენა: სამართალი სწარმოებს უკაც თარჯიმნების შემწეობით. უმალღესი ადმინისტრაცია სულ რუსებისაგან არის შედგარი, ამასთანავე იმგვარსავე ბიუროკრატიულს თვისებებით ყოფილა აღჭურვილი კავკასიაში, როგორითაც პოლონეთშია. რუსების სახელი იმგვარადვე სძულთ კავკასიაში, როგორც პოლონეთში და ეს სულ ჩვენის „ჩინოვნიკების“ მეოხებით.

ბოლოს ავიღოთ საადგილ-მამული საქონელი, აქაც პირობები ერთნაირი ყოფილა, ერთნაირად ყოფილან შევიწროებულნი ქართველებიცა და პოლონელებიც; ქართველები, როგორც სჩანს, კიდევ უფრო მეტად, რადგან მთავრობის გარდა ქართველ გლეხებს კულად ეკიდებიან ქართველი მემამულეები.

ერთი სიტყვით, ყველგან ვხედავთ ერთნაირს შევიწროებას ერებისას, — შევიწროებას უაზროს, აღმაშრობებელს. თითქოს ჩვენ — რუსები განგებ ვცდილობთ ყოველმხრიდან მტრები და მოძულეები გავიჩინოთ. სხვა-და-სხვა ერების დაჩაგრვა რაღაც აუცილებელ და შეუღერკველ კანონად გვაქვს აღიარებული; მაგრამ ამ სიტყვამ დღემდის ვერაფერი მოგვცა, პირიქით, და მადლობა ღმერთსაც, ვერსაღ უცხო ერები ვერ დავიმონავეთ; ვერა თუ ვერ მოვსხვებ, პირიქით ხელი შეუწყეთ შთა შერთობასა და გამოვიწვიეთ საკუთარ ეროვნულ ცხოვრებისათვის.

გხლა ჩვენ იძულებულნი ვართ ანგარიში გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ ეს ერები კულტურულ და თავისუფალ ცხოვრებისათვის მომზადდნენ. სისულელეა და საშიშიც შედეგელობაში არ მივიღოთ ეს გარემოება... დროა უკუვალთ სეპარატიზმის შიში და მშვიდობიანად, კეთილი სურვილით შევხედოთ არა რუსთა მდგომარეობას, დავაკმაყოფილოთ მათი სამართლიანი მოთხოვნა საქიროებანი. დროა ვიმუშაოთ ყველა ერების და რუსების შვერთებაზე საერთო ინტერესებით, ასეთი ინტერესები არის და მეტად დიდმნიშვნელოვანიც. მიეკით მხოლოდ ხალხებს შეძლება დაუბრკოლებლად ანვიოთარონ თავიანთი ეროვნული ცხოვრება და მერე თითოვან აღარ მოინდომებენ რუსეთისაგან განშორებას.

მაგრამ თავიანთ საქიროებაზე და ეროვნულ ცხოვრების მთავარ საფუძვლებზე არა რუსებს უნდა შეეძლოთ რაც შეიძლება ჩქარა გამოსთქვან, რათა თავიანთ აიცილოთ სახელმწიფოს დაქსასვა. აი ამიტომაც პოლონეთმა, ლიტვამ და კავკასიაშიც უთუთად უნდა მიიღონ მონაწილეობა „ზემსკი სობორი“-ში. არა-რუსები ცოტანი არიან და მთავარ როლს ვერ ითამაშებენ, მაგრამ დროზე უნდა მოვისმინოთ მათი ხმა, რათა ჩვენ მრავალტანჯულს სახელმწიფოს ვხლავე მოვაშროთ ძლიერ საშიშარი სენი დაყოფისა და დანაწილებისა“.

* *

ვახ. „რუს“-ში არის მოთავსებული მეთაური წერილი რომლიდან მოგვყავს ზოგიერთი ადგილები: „გარდა უბედურ ომიანობისა, ოთხი ძალაა, რომ უზარ-მაზარ იპვერიის შინაურ მდგომარეობაზე ზედ-მოძმედებს: მთავრობა; საზოგადოება გაერთიანებული როგორც არასოდეს; მეშათა მძლავრი მეშაობა; პატარა ჯგუფი მებრძოლ ტერორისტულ ორგანიზაციისა.

განა დრო არ არის, ბიუროკრატიაში ჰკითხოხ თავისთავს, ვაჟს თუ არა დღეს მთავრობა იმ მილიან სახით, როგორც უნდა ჰქონდეს?..

არ იყო, მაგალითად, მთავრობა 9 იანვარს პეტერბურგში; არც ბაქოში ამ საშინელ დღეებში... და ეს ასე არის მეორე წელიწადია: იაპონიის ომი რომ დაიწყო, ბიუროკრატული მთავრობა, რომელიც მშვიდობიანობის დროსაც არ კმაროდა, გადნა, როგორც თოვლი გაზაფხულის მხის ვავლენით.

რუსეთის ბიუროკრატისმის ბაზილიანის გოდოლი, რომელსაც ცამდე ჰქონდა თაბრულ-ბიზანტიური თავი, ერთბაშად დაინგრა ყველა სართულებით და საძირკველითაც კი...

სამხედრო უწყებამ ერთის წლის განმავლობაში დიდის გაკორეებით თავი მოუყარა ნახევარ-მილიონ ჯარს, თუმცა სახელმძღვანელოებიდან გვისწავლია, რომ რუსეთი პირველი სამხედრო სახელმწიფოა, რომელსაც ექვსი მილიონი ჯარი ჰყავსო. ასევე დიდის გაკორეებით მოუყარა თავი საზღვაო უწყებამ ესპადრას, რომელიც იაპონიისაზე ნაკლები გზოვდა.

ფინანსთა სამინისტრო? იგი გახდა კასირი უბედურ ომიანობისა, რომლისთვისაც ახერხებს სხვადასხვა ჩვენთვის არა ხელსაყრელ სესხებს. შემოქმედებითი რეფორმები ამ უწყებისა ვერ გასცოლებია ქალაქის ფულის ახალ სეროების გამოცემას და საზღვარგარე წასასვლელ პასპორტების ვადის შემცირებას ..

გზათა სამინისტრო? მაგრამ თუ ჩვენი გზები გაჩერებულია, თუ 135 მილიონი ფუთი პური ყრია სადგურებზე, სადღა გზათა სამინისტრო?

სად არის სახალხო განათლების სამინისტრო? რუსეთის საზოგადოება აღარც კი სტილიობს მონახოს იგი მას შემდეგ, რაც ასეთი სეროზული ბეები დატრიალდა უმაღლეს სასწავლებლებში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო?.. უფლება არა გვაქვს რამე მოვსახოვთ მინისტრს, რომელიც ეხლახან დაინიშნა; მაგრამ სწორედ ამ სამინისტროსათვის დღემდე ნამდვილი ქეშპირტიბაა ნიკოლოზ პირველის სიტყვები—40 ათასი „სტოლონაჰალნიკ“-ია რუსეთის მმართველი; და ამ 40 ათასმა სტოლონაჰალნიკმა მარა სრულიად თავი დანებდა კულმართვასაც. ბაქოს საშინელი მაგალითი გვიჩვენებს, რას წარმოადგენენ ეს ბიუროკრატული ორგანოები თავისთავად, ჯარების დაუხმარებლად..

ერთის სიტყვით, საითაც არ უნდა მიიხედოს რუსეთის საზოგადოებამ, რომელ უწყებასაც არ უნდა მიჰპართოს, არსად არ არის შეგნებული მოქმედებაო. და ასეთ დაქსაქსულ აღმინისტრატულ მთავრობის წინააღმდეგ სდგანან—მძლავრი მოძრაობა მეშებისა და საკვირველის თანხმობით მომქმედი საზოგადოება...

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * რუსულ გაზეთებს და ჟურნალებში საინტერესო ცნობები დამკვიდრილი იაპონელები ტყვეების შესახებ, რომე-ნიც დააზიანეს მედვედოვის სოფელში ნოვგოროდის გუბერნიაში: „ოფიცრები, იწერებანი, შეხედულობით მოწყენილი არიან. რუსულიდან თუმცა შეუძლიათ ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ ოფიცრებთან თავდაპირილი არიან. ჩვენ ოფიცრებს როცა ნახვენ იაპონიის ოფიცრები თავს დაუკარვენ მაგრამ ხელს არ ჩამოართმევენ. წინეთ მათ ნება ჰქონდა მიცემული დანიშნულ ადგილზე სერიზობის, მაგრამ ამ ბოლო დროს აუკრძალეს. ყველა ტყვეები ძლიერ სუფთად არიან ჩაცმულინი. ზოგიერთი ჩვენი ოფიცრები უყვარსთ. ნამეტანი მხნე და მიზნულური არიან. როცა ელაპარაკები სანამ გაათავებდნენ რისაც თქმა გინდა იმან უკვე იცის და პასუხს გაძლევს. სხვა ტყვეებ შორის არის მიიორი ტოვო თავის ცოლით. ეს საკუთრად არის დაბინავებული. ოფიცრები ცალკე დგანან და სალდათები ცალკე. ოფიცრებს დანიშნული აქეთ ჯამგარი. თითქმის ყველა ოფიცრები ლაპარაკობენ მშვენიერად ფრანგულ და ინგლისურს ენაზე—ლაპარაკობენ რუსულადაც კარგად.



* * კომაროვის გაზეთი დაჯინებით ითხოვს, რომ სტესელი გასამარლონ პორტ-არტურის დათმობისათვის. გაზეთი „სვეტ“-ი ამბობს, რომ ციხე ჩაბარებული ჰქონდა გენ. სმირონოვს, როგორც ციხის კომენდანტს და არა სტესელსო და უთუოდ დანაშაუვვე სასამართლომ უნდა დაგვანახოსო. ჩვენ გვეგონა, რომ გაზეთი „სვეტ“-ი მარტო უტხოვტკობის ხალხს სდევდა თავისი უბადრუკი ორგანიოთი. თურმე არც თავიანთებს ზოგავს და ყველას ცილს წამებს. ჩვენ ვეღარ გაუძეღლით სეროვანდს, შიმშილობას, და სნეულებასაო, აღარც საომარი ნიუთები გვქონდა და ერთ დღეში სულ მთლად აგვიკლებდენო და ამისათვის გვმბეღდა სხვა სიმბგარეები აფეთქეთ და დავენბდითო“ იწერებოდენ. რა არის იქ გათსახველი საპართლისაგან?

* * სოფ. ხუნჯულორის მცხოვრებს ივანე კონსტანტინეს ძე თადუმაძეს შეუწირავს 116 მან. შესამოსელი და ერთი ნოხი სამი თუმნის საღირალი ხუნჯულორის ეკლესიისათვის, რომლისთვის ეკლესიის კრებული და მრეველი გულითად მადლობას უტყდადენენ ამ ნიუთების შემწირველს.

* * „კავკაზ“-ში დამბეღილია მთავარ-მარტებლის შემდგე ბრძანება: „მისმა იმპერატორებით უღიდებულესობამ 18 თებერვალს კეთილ ინება, რომ ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში შემოღებულ იქნას საომარ დროის წეს-რიგო; ამასთან უფლება მომცა ჩემ-მიერ არჩეული კაცი დავნიშნო იქ გენერალ-გუბერნატორად. ამ უმაღლეს სურვილს ვაცხადებ საცნობეღად და აღსასრულეღად, წინადადებებს ვაძლევ გენერალ-ადიუტანტს თავ. ამილახვარს ეხლავე შეუღდგეს ქალაქ ბაქოს და ბაქოს გუბერნიის გენერალ-გუბერნატორის თანაწდებობის აღსრულეზბას“.

* * ბაქოდან, როგორც „კავკაზ“-ს სწორენ, დიდძალი რუსი მუშა მიღის სამშობლოში. ხმა გაუფრცთებიოთ, რომ მაღვ რუს მუშების ჯღრტა დაიწყებოთ და ამის გეშო რუსები შემწინებულან. 17 თებერვალს 400 მუშა წასულა, წინა ოთხ დღეს —1000 მუშა. სომხები და თათრები თითქმის ყოველ დღე იკრიბებიან. 17 ნოემბერს 600 კაცს მოუსრულებია ნიკიტინის ცირკში შეკრება, მაგრამ ერთი როტა საღლადი დახვედრია იქ და კრების ნება არ მიუცია. შემდგე ეს ხალხი კლუბში შეკრებოლა, მაგრამ, პოლიცმისტრის წინადადებით დაშ-

ლოლა. ყველა აშფოთებულაო. დღისით მალაწენტი და დუქნები დაიკეტა. ვაჰრები აქეთ-იქით გიფუნტენ. ჯარიც გასულა ქუჩაში. ამ შფოთის მიზეზი სულ უბრალო რამე ყოფილა: პარავტზე ორ სპარსულ რაღაზედღა ჩაუბო მოსვლიათ თიომე. უნდა მომხდარდყო ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, მაგრამ აღმინისტრაციას ნება არ დაურთავს. მოკლული ჯერ-ჯერობით აღმონდა 202 კაცი. აქედან 155 სომეხია თურმე, 25 მაჰმადიანი, 7 რუსი, დანარჩენი სხვა ეროვნებისანი არიან. დაჭრილა 159 კაცი. სომეხი—75, მაჰმადიანი—41, რუსი—24. ძარცვა გლეჯისთვის დაუბატობრებით 19 კაცი. 18 თებერვალს, დღისი 10 საათზე, თავ. ამილახორის თავმჯღდამარტობით მომხდარა თათბირი, რომელსაც დასწრებიან წარმომადგენლნი სამოსამართლო უწყებისა, ნაფიცი ვექილები, ხმისნები, ქალაქის მოურავი, სამღვდლოება და საპატოო სომეხნი და მაჰმადიანი. თავ. ამილახორს უთხოვნია შეკრებოლთათვის გავლენა იქონიონ ხალხზე, ნუ იკრიბებით და ყრილობებს ნუ ახდენენ, რადგან ამ ყრილობებზე ეხლა სულ სხვა სახეისი მიიღო და შემდღება საქმეში ჯარი ჩაეროოსო.

* * „კავ“-ს ბაქოდან დღეშით ატყობნენ. 19 თებერვალს, ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში გეოცხადებულ იქმნა საომარ დროის წესები. გენერალ-გუბერნატორად დანიშნა გენერალი ამილახორი, რომელიც ორშაბათს მიიღებს ყველა უწყების მოხელეებს. გუშინ კლუბსა და ქალაქის გამგეობასთან და გუბერნატორის ბაღში ხალხი შეიკრიბა. ეს ხალხი გეფანტულ იქმნა უთარაღოდ. ბაქოში მომხდარ ამბების გამომძიებებს უკვე შეუღდგა ხუთი გამომძიებელი. ლალავის სახლის დაწვისა და ადამოვის მოკვლის საქმეს იძიებს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ლიახვიჩი. ხუთ დღეში, 7-დან 12 თებერვალამდ, ბაქოდან რკინის გზით წაველა 10,000 კაციო.

* * ოზურგეთი. ათი დღის წინად გვესტუმრა ყაზახთა ჩერნომორსკი პოლკის ერთი სოტნა. ეს სოტნა ბათუმში იყო 22—28 ნოემბერს. სდგურ ნატანებზე დიდძალი ჯარი იკრიბებო. ამბობენ. მუთლი დივიზია უნდა შეიკრიბოს თავის ზარბაზნებითო. გურიოში ხალხი ძველდებურად მუშაობას გეწავტობს. (წ. ფრ.)

* * ქუთათურ ვექილებს კრება ჰქონდათ ეხლანდელ უბედურების შესახებ მოსალოაპარაკებლად.

კრებაზე გადასწყვიტეს, 17 თებერვალს ვეკილების მთელი კორპორაცია წარდგოჲოდა გუბერნატორს და მოხსენებინა თავისი მოსაზრებანი დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. კრების სურვილი წინდაწინვე აცნობეს გუბერნატორს და მანაც დაუნიშნა დრო მიღებისა. 17 თებერვალს, დანიშნულ დროს, ვეკილების კორპორაცია, თავმჯდომარის მ. ა. ქიქოძის მეთაურობით, მივიდა გუბერნატორთან, მაგრამ არ მიიღეს; შემოუთვალეს, გუბერნატორი შინ არ ბძანდება, ძლიერ სანჭარო საქმის გამო ქუთაისიდან სხვაგან წაივლია. დაბრუნდნ შინ ვეკილები.

***. დადი ბრძოლა მუკდენთან.** ეს დიდებული ბრძოლა 8 თებერვალს ცინხენჩენთან დაიწყო და 24 თებერვალს საღამოს მუკდენთან დასრულდა. ამ უმაგალითო ბრძოლამ შახეს მიუვალ პოზიციებისა, წმინდა ქალაქ მუკდენისა და მთელის სახმრეთ მანჯურიის ბედი სამუდამოდ გადასწყვიტა ლ უმაკველია დიდ გავლენას იქონიებს სახმრეთ მანჯურიის ყვლზე — ტელნის ბელზეც. ეს ბრძოლაც იაპონიის ჯარის ბრწყინვალე, სასახლო გამარჯვებითა და რუსის ჯარის საზარელ, უმაგალითად ამარცხებით დასრულდა. რუსის ჯარი ჯერ ასე არას დროს არ დამარცხებულა: მუკდენმა სულ დაჩრდილა, ვაფასა აუსტერილი და ნარვა, ისე როგორც პორტ-არტურმა სევასტოპოლი. არც ასეთი ზარალი მოჰსვლია როდისმე რუსის ჯარს. გენ. კურობატკინი იუწყება: 15 თებერვლიდან 26 თებერვლამდე 1190 დაჭრილი აფიცერი და 46,391 დაჭრილი სალდათი გავისტუმრეთ ბრძოლის ველიდანაო. აქ არაა ნახვენები მოკლული, დატოვებული ლ დაკარგული ჯარისკაცები. ამას გარდა, ბრძოლა 8 თებერვლიდან დაიწყო და 15 თებერვლამდეც დიდი ზარალი მოუყვლიათ რუსის ჯარს. რუსის კარესპონდენტები ყველანი ერთ-მხად იუწყებიან რუსის ჯარს ყველგან, ყველა მცირე პოზიციანეც-კი დიდი ზარალი მოსდიოდნაო. თუ სრულად არა, დაახლოვებით მიინც მალე გავიგებთ, რა საშინლად დაზარალდა რუსის ჯარი მუკდენთან ბრძოლაში და მეტადრე უკან დახვევის დროს.

იაპონელებს 30 ათასზე მეტი რუსი დაუტყვევებით, ესე იგი თითქმის იმდენი, რამდენიც პორტ-არტურში დაატყვევეს. (ცნ. ფუტა.)



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრწმუნეობასა და კეთილზნებაზე.

მოძღვრის საუბარი მკვლთან,

ყვირილის ეკლესიაში, 13 თებერვალს წირვის შემდეგ.

ეკლესიის მოსამსახურე მოძღვრისათვის იმაზე სასწავლო, სამელოვიარო, დასაღონებელი და გულ საკლავი არაფერია, როგორც ის როდესაც იგი ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს: „მშვიდობა ყოველთას“-ს შევადვინეს და ეკლესიის კვლმებს ეუბნება. უბრალო სადაგ მუშაობის დღეებში კიდევ მოითმენს მოძღვარი მარტობას, მღვდელმოკმედების აღსრულებას ერთი-ორი პირის თანდასწრებით, მაგრამ დღესასწაულ და კვირა დღეებში უხალხოთ წირვა მეტის-მეტად მძიმე ასატანია. წინააღმდეგ არაფერი ასე სასახარულო, გამამხნევებელი მოძღვრისათვის არა არის რა, როგორც ის, როდესაც კვირა-უქმე დღეებში მლოცველებით არის გაქედლი ეკლესია და მონაწილეობას იღებენ იგინი ღვთისმსახურების შესრულებაში. ჩემი გული სიხარულით არის აღვსილი დღეს, რომ თქვენ ასე ბევრი შეკრებულხართ ეკლესიაში სალოცავად და სავაქრო დუქნებ დღეს კვირის მთელი დღით დაგვიტრათ და დაგიტოვებიათ. მე თქვენს შემხედვარეს წარმომიდგას ის მშვენიერი ჩენი ძველი დროის სურათი, როცა ჩენი ეკლესიები გაქედლი იყო ხოლმე მლოცველებით, და როგორც თვითონ, ისე თავიანთ საქმელს შეასვენებდნ და არავითარ სამუშევრს არ მოჰკიდებდნ ხელს. ორმოც და-ათი წლებიდან კვირა დღეების მნიშვნელობა ჩენ ში თითქმის მოისპო, ასე რომ ეს დღე, დადებული ღვთისაგან კაცის განსახვენებლად აღარ განიხრეოდა საქმე დღისაგან. 40 წელიწადია თითქმის რაც აღმინისტრაცია მაცადინობს, როგორმე მოეხერხებინა და კვირა დღეებში ვაქრობა და ხალხის მუშაობა მოეხსო, მაგრამ ვერა



მოახერხებოდა. დუქნების დაკეტვისათვის ბევრი (პროტოკოლები) დაადგინეს; ქალაქის საბჭოებში ბევრი იბაძასეს, მაგრამ ვერას ვახდენ. ორი-სამი საათით დაკეტავენ დუქნებს, მაგრამ ზოგი ფარულად ვაჭრობდა. ზოგი წინიდან დუქნის კარების დაკეტვით უფრო სარგებლობდა, რადგან უკან კარებიდან ხალხი შედიოდა ნახევრობით ბნელა მალაზიში, ვაჭრობა იყო გამართული, რომლის გამო ხალხი ბნელა ოთახში ნაჯიკრით ძლიერ სტუყუდებოდა. დღეს კი სულ სხვას ვხედავთ. ნოქრების თხოვნით თქვენ გარდა-გიწყვეტიათ მთელი დღე მალაზიების დაკეტვა და უქმობა კვირაობით ისე, როგორც ამას ჩვეული იყვნენ ჩვენი წინაპრები. ვარდაგიწყვეტიათ, რომ კვირა დღეს წირვა მოისმინათ და ჩვენ წინაპარ ქრისტიანეთა ძველი ჩვეულება აღასრულოთ, — ეკლესიაში წირვისა და ლოცვის მოსმენაში მონაწილეობა მიიღოთ, სწორედ სასიხარულო მოვლენა და მომილოცეს თქვენთვის ესეთი კეთილი აზრის საქმით განხორციელება...

სწორედ მივივრის, რომ დღეს დასტოვებთ თქვენის ცული ჩვეულება კვირაობით ვაჭრობისა, რომელიც აგრძალებულია კეთისაგან და უარყოფილია შეგნებული ხალხისაგან. დღევანდელი თქვენი საქციელი ნამდვილად ემსგავსება დღეს წაითხულ სახარების, უძღების შეილის იგავის მოთხრობას. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია ორიოდ სიტყვა მოგიხროთ თქვენც ამ უძღებ შეილზე.

ქადაგება და მოძღვრება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომ ადვილად გასაგებია ყოფილიყო ყველასათვის, ხშირად ტყუილი იგი იგავით თქვენ მოსამინეთ დღევანდელ წაითხულ სახარებაში იგავი უძღებ შეილზე. აი ეს იგავი. სიტყვა უფალმა: კაცსა ვისმეს ჰყავდა ორი ძე, უნცროსმა შეილმა უთხრა მამას: მამა! მომიტე მე რაც შემიხვდება წილი სამკვიდრებელისა. მამამ განუყო მთელი საცხოვრებელი და მისცა მას. რამდენიმე დროის შემდეგ შეკრიბა უნცროსმა შეილმა ყოველივე რაც ერგო და წავიდა შორს. იქ განაზნა თავისი სამკვიდრებელი, რადგან ცხოვრებდა არა-წმიდებით. როცა წარაგო და განაზნა ყოველი თვისი სამკვიდრო, გაჩნდა შიმშილი იმ ქვეყანაში, სადაც იგი ცხოვრებდა და მოაკლდა. ოველივე. მივიდა ერთ მოქალაქესთან და სთხოვა თველი იგი და დაეხსნა შიმშილობით სიკვდილისაგან. მოქალაქემ გაგზავნა იგი ველად ღორთა მისთა

საძოვნელად. აქ ხშირად შეეხარბებოდა ღორთა, რომ ღორნი სძლებოდენ — იგი კი მშვიერი იყო და იტანჯებოდა. ბოლოს მოეგო ვონსა და სთქვა. რამდენს მოეჯამაგირეთა, მამისნემის სახლში, მეტი აქვსთ პური, ხოლო მე აქ შიმშილით ვკვდები. უმაჯობსია, აღვსდგე და წავიდე მამიჩემის სახლში და უთხრა მამას: მამა! ესცოდე ცად-მიმართ და წინაშე შენსა; არა ვარ ღირს შეილად მიწოდო მე, მაგრამ მიმიღე მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი. წამოვიდა იგი მამასთან და შორიდგან დაინახა მამამან მისმან და შეეწყალა იგი. მივიდა მამასთან მიყვრდნო თავით მეტრდსა მისსა, კოცნიდა მას და უთხრა: მამა! ესცოდე ცად-მიმართ და წინაშე შენსა, მე არა ვარ ღირს შენ შეილად წოდებისა, მიმიღე მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი. მამამ უთხრა მოსამსახურეთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შემოსეთ იგი. წამოაკვიტ ბეჭედი ხელსა მისსა და ხამლნი ფერთა მისთა. და მოიყვანეთ ზვარაკი ქამებული, დაჰკალით და ესქამით და ვიხარებდეთ, ვინაილგან ძე ესე ჩემი მომკვდარი იყო და განცოცხლდა, დაკარგული იყო და იპოვა, და იწყეს განცხრობა. უმფროსი ძე ამა კაცისა ამ დროს იყო წასული ველსა და როცა მოვიდა და მოუხლოვდა სახლსა მისსა მოესმა ხმა მხიარულებისა და განცხობისა. მოუწოდა მონასა და ჰკითხა მას თუ რა ამბავია მის სახლში? მოსამსახურემ უამბო, რომ მისი უნცროსი ძმა მოვიდა და, ვინაილგან იგი ცოცხალი მოვიდა შინ, მამამან შენმან დაჰკლა ზვარაკი ქამებული და განსცხრობიანო. გარისხდა უმფროსი ძმა და სახლში აღარ უნდოდა შესვლა. მამა მისი გამოვიდა და ევედრებოდა სახლში შესვლას. მან მიუგო მამას თვისსა: ამდენი ხანი შენ გმონებ და ერთ შენს მცენებს და ბრძანებს არ გადავსულოვარ; ჩემთვის არ მოვიციანება ერთი თიკანი დამეკლა, რომ ჩემს მეგობრებთან დრო ვაგეტარებია! როცა შენი უნცროსი ძე მოვიდა, რომდემანაც უნესქამა საცხოვრებელი შენი მეძეთათანა, დაუკალ ზვარაკი იგი ქამებული? მაშინ მამამ უთხრა მას: შეილო! შენ ყოველთვის ჩემთანა ხარ და ჩემი ყოველი შენი არს, ხოლო ესლა სიხარული გემართებს, რომ შენი ძმა მომკვდარი იყო და განცოცხლდა, დაკარგული იყო და იპოვა.

ამ იგავში მამად იგულისხმება ღმერთი, უძღებ შეილად იგულისხმება ცოდვილი კაცი, რომელიც



შემდეგ მრავალი ცოდვის ჩადენისა ღვთის წინაშე მოგება გონსა და წმინდის გულით მოინანებს ცოდვებსა და მოიქცევა. უმფროს ძეთ იგულისხმებიან მარწმუნენი, რომელთაც არაფერი არა დააკლდებოდა რა ღვთისაგან ცოდვითა მოინანებთ. სისხარული და განცხრომა უძღვების შვილის მოსვლაზე ამტკიცებს მას, რომ ესეთი სისხარული იქნება ცათა შინა თვითვეული ცოდვილი კაცის მოქცევისა ტქეშპარიტ გზაზე დადგომისათვის. ისე ზრუნავს ჩვენზე მამა ღმერთი, როცა ჩვენ მოვეგებით გონს, შევინანებთ ცოდვებს და აღვასრულებთ მის მცნებას და ბრძანებას.

მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც საყვარელი დედა გვაფრთხილებს ჩვენ დიდი მარხვის მოახლოების დროს, რომ შევივრთოთ და მოვინანიოთ როგორც უძღვებ შვილითა ჩვენი შეკოდებანი ღვთისა და კაცთა წინაშე, მოვინანიოთ და მოტოვება ვითხოვოთ ღვთისაგან. განა ჩვენ ყველანი უძღვები შვილები არა ვართ? განა ჩვენთვის კოტა მოუქმენია ღმერთს, როგორც სულიერი, ისე ნივთიერი საქვიდრებელი, რომ კეთილად არ მოგვიხმარია? როგორ მოიხმარეს ზოგიერთებმა უჭირვასესი სამკვიდრებელი — სწავლა-განათლება და ღვთისაგან მონიჭებული გონება, რომლითაც იგი დაჯილდოვებულია ღვთისაგან ყველა ცხოველთა შორის? როგორ მოიხმარა ზოგიერთმა სიმდიდრე და ძვირფასი მამისაგან დატოვებული სამკვიდრებელი? განა უძღვები შვილის მსგავსად არ დაბანია ზოგიერთმა სიმდიდრე და სამკვიდრებელი? განა ზოგიერთებიც ისე ბოროტად არ იქცევიან ღმერთის, როცა წინააღმდეგ ღვთის სჯრლისა კვირას ვტყებდით და ნაცვლად დასვენებისა, საღმრთო საგანზე ფიქრობისა მთელი დღე არც თავისთავს ვასვენებდით და არც სხვას ვაძლევდით ნებას კვირას ეფიქრად ღვთისა და და თავის სულის საქმეზე? დღეს სწორად შევიგინათ შეცოდება და ესეთი საქმეები წესი დავიდგენიათ — შპაათ საღამოდან კვირა დღეს ორშაბათს დღიამდე არაფერ არ გაბედოს არც ვაჭრობა და არც საქმობა არამედ ყველანი განისვენებდენ ამ დღეს და წირვა-ლოცვის დაესწრებოდენ. თქვენც სწორად ვივლიდებულ იხართ აღიაროთ ღვთის წინაშე რომ დღემდის სკოდავით კვირაობითაც მუშაობდით მაგრამ რიგია აღიაროთ ეს შეცოდება ღვთის წინაშე და ამიერიდან აღარ დაარღვიოთ იგი.

რამდენად საზარლოა კაცის სხეულისსათვის სულ ნიადაგი მუშაობა, რამდენად მაინებელია სულ ნიადაგი ფიქრი და აზროვნება მარტო სხეულისა და ნივთიერად გამდირებებისათვის და რამდენად უხშობს კაცს გონებას — უჭირვასეს და ღვთისგან ბოძებულ ნიქს და რამდენად აქევიტებს კაცობრიობას უფერება და გონებითი დახშვა, ამაზე შემდეგ ორთისთვის გადავდებ საუბარს. დღეს მხოლოდ გეტყვით თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ კვირა-უქმე-დღეს ღვთის მცნებში ამებრ.

ევროპის ყველა განათლებულ ხალხებში პირველი ადვილი უკვირა ინგლისელებს. ჩვენთვის საკმაო იქნება რომ მათ წაბაძათ კვირა-დღის უქმობაში, როგორ უქმობენ ისინი კვირა დღეს? თქვენი გადაწყვეტილებით აქ, კვირილაში ხორცისა და სანოვავის სავაჭრო დუქნებს გარდა სხვა დაკეტილი უნდა იყოს. ლონდონში-კი ამისთანა დუქნებიც დაკეტილია, იქ თუ შპათს არ გაქვსთ დამზადებული ყოველივე კვირისათვის ვერაფერს იშოვით. ამ თავისუფლების ქვეყანაში შეუძლებელია ვინმემ ვაბედოს მუშაობა ან სხვა ამუშაოს კვირა-დღეს. ამ დღეს თქვენ იქ ვერავის ნახათ, რომ ქუეებში დასიერობდენ რაიმე უწყესება ჩადინონ. იქ ამ დღეს საუბლდებულად რაცხს ყოველი კაცი ეკლესიაში მივიდეს და მონაწილეობა მიიღოს; ვინც ეკლესიაში ვერ წავა, შინ ოჯახის უფროსს „დაბადებს“ კითხულობს და მთელი ოჯახი ამ კითხვას ისმენს. ამისათვისაც არის რომ ინგლისელს იშვიათად ნახათ რომ „დაბადება“ არ იცოდეს. ჩვენში? ჩვენში ვინ იცის „დაბადების“ კითხვა? არა თუ დაბადება, არამედ იღეთ ათასი კაცი, თუ მათში ერთს წაეკითხოს სახარება. როგორი ქრისტიანი უნდა იყოს ის, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთჯერ არ წაუკითხავს სახარება? მე არ ვამბობ უბრალო სოფლის გუნთაულელებ ხალხზე, მე მოგახსენებთ ნასწავლ პირებზე.

არც ერთი ხალხი ისეთი მდიდარი არ არის როგორც ინგლისელები. მაშასადამე უქმე დღეების მტკიცედ დაცვას იგინი არ გაუდარიბებია. ჩვენი ხალხის მტერი ის, ვინც ამტკიცებს რომ კვირა-დღის დაცვა ხალხს გაადარიბებსო. კვირა-კი არ აღარიბებს ხალხს, არამედ აუარებელი სამიკიტრო დუქნები და კვირაობით წირვისა და ლოცვის მოსმენი მაგიერ ბახუსის მახურება ამ სამიკიტროებში. მართალია, არის და სასმელების ბაყით ხაზინის შესავალი



მატულობს, მაგრამ ხალხი ირყუნება, გონებით დატაკდება და ნივთიერად იღუპება...

თქვენც, ძმანო კრისტინანო, თუ გასურსთ კვირა-უქმე შეინახოთ და ღვთის ბრძანებისავერ შეისვენოთ მუშაობისაგან, მაშინ ეს დღე მოხმარეთ გონების განვითარებისათვის, ღვთის სალოცავად ზე შენი სულის სასარგებლოდ. ექვსი დღე მუშაობ შენი ხორცისათვის და ერთი დღე იფიქრე შენი სულისათვის. თუ ასე მოიქცევით, მაშინ დიდ სარგებლობას მოგიტანს თქვენ კვირის უქმობა და თუ კვირა-დღეს ქეივობას დაიწყებთ და ცუდ-უბრალო ხეტიალობით თქვენ სხვასაც შეაწუხებთ და თავის თავსაც არ მისცემთ განსვენებას, მაშინ სარგებლობის მაგიერ კვირის უქმობა დიდ ვნებას მისცემს შენ თავს.

იმედია, თქვენგან დაწყებული ეს ერთი კეთილი საქმე დიდ ხანს გაგრძელდება და თქვენც სულიერად განვითარდებით და წარემართებით, რაშობაც ღმერთი შეგეწყოსთ და მოგენიჭოსთ მისი მადლი და კურთხევა.

დკ. დ. დამაშაიყ.



ძივრისი და საუცხოვო მოწყალეა.

(რუსულიდან)

წმინდა მამა პავლინი, ეპისკოპოსი ნოლანისა, ხოლო ერის კაცობაში სენატორი რომისა, დიდად მოწყალე და შეძლებული კაცი იყო. ეპისკოპოსობის დროს, როდესაც ვანდლები იტალიელებს თავს დაესხნენ, სხვათაშორის ნოლანის სამწყსოც აიკლეს და მრავალი ტყვე წაიყვანეს. განადგურებულ სამწყსოს აღსადგენად და წტვედ წაყვანილ ხალხის გამოსახსნელად წმ. პავლინმა უკანასკნელ გროშამდე გადააგო მალე მისი სომიღრე სწორეთ იმ დროს როდესაც წმ. მამა პავლინს აღარავითარი ნივთიერი შეძლება არ მოგებობოდა, მივიდა მასთან ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი და ცრემლით შესტირა: «ღირსო მამაო! ერთად-ერთი მასაზროლებელი შეილიდა გამაჩნდა და ისიც ვანდალებმა წამართვეს. გვედრები შენს მადლს მიღონო რამე და შევილი

ტყვეობიდან განმანთავისუფლებინო!» მწუხარე დედის ტირილით გულის სიღრმემდე აღძრილმა და შეწუხებულმა პავლინმა არ იცოდა რა ექმნა.

კოტა ხნის დაფიქრების შემდეგ უთხრა დედაკაცს: «რაცქა ჩემო კეთილო! ნივთიერი შეძლება აღარ მაქვს და ამსიკეთეს კი ვიხამ: წამიყვანე მე, ვითარცა შენი საკუთარი მონა და მიმეცი ვანდალების მეფეს შენი შეკლის სასარად». ეს სიტყვები არ იყო რომ ქვრივმა დედაკაცმა დაიცინვად არ მიიღო მაგრამ; თვით პავლინმა დააჯერა რომ ის სიმართლეს ეუბნება მას და ურჩია ეს აზრი დაუყოვნებლივ საქმედ ექცია. ამწირად ქვრივი დედაკაცი და ღირსი მამა პავლინი გაემგზავრნენ ვანდლებს ქვეყანაში. აქ ვანდლების თავადის წინაშე, რომელთანაც იწყობებოდა ქვრივი დედაკაცი შევილი, დედამ მუსლი მოიყარა და თვალცრემლიანმა მოწიწებით შესთხოვა შეკლის განთავისუფლება უსასყიდლოდ მაგრამ, თავადმა უარო უთხრა. ატირებულმა დედამ ბოლოს პავლინზე მიუთითა და მოახსენა: «დიდებულო თავადო, ჰქენი მოწყალეა, ეს მოხუცი კაცი სახსარად მიიღე და შეილი უკან დამბარუნეო!» როდესაც თავადი დარწმუნდა, რომ პავლინი კარგი მეტლე არის, დაყბულდა და მიიღო ქვრივი დედაკაცის შეკლის ბაღლად. ამის შემგვამ თავადმა ხშირად იწყო სიარული თავის ბაღში. როგორც ქვეიანი და წინ დახედული კაცი, პავლინი ძლიერ შეუყვარდა თავადსა. ერთ დღეს პავლინმა უწინასწარმეტყველა თავის ბატონს: «ბატონო ჩემო, მოკლე ხანში არ გასცილდე სატახტო ქალაქს, თორემ უსაცილოდ შესამწევ ხიფათს ელოდეთ. ბატონმა დაუჯერა მონას და მართლაც აიკოლა ხიფათი. ეს ამბავი თავადმა თავის სიმამრს მეფეს მოახსენა. მეფემ ისურვა პავლინის ნახვა: სადილზე, ბატონის ბრძანებით პავლინმა სუფრაზე მწვანილი და ხილი მიიტანა. მეფემ რომ პავლინის თვალი მოჰკრა, შეკრთა და ჩუმად წასწურა თვის სიმძეს: «ეგ მოხუცი უბრალო ვინმე არ გგონოს. მე ეგ ვნახე სიმამარში და დიდხარისხოვან კაცად მომეწენა. ამატლავე გამოკითხე და გაიგე თუ რა ხარისხის მექონე კაცი იყო თავის ქვეყანაში? თავადმა პავლინი ცალკე ოთახში გაიყვანა და მოწიწებით დაუწყო ვინაობის გამოკითხვა. პავლინმა უპასუხა: «მე ვარ კაცი დეთისა და უქვემვერდომელსი მონა თქვენი ბრწყინვალეებისა, მონა, რომელიც მიიღეთ თქვენ ბაღლად



ქერიცი დედაკაცის შეილისა. — არა, მე მაგას არ გკითხვი, მე მსურს გავიგო ის, თუ რა კაცი იყავი შენ დღემდის შენს სამშობლოში და ან რა ხელობა გმპირა?

—მე ეპისკოპოსი ვარ. მიუგო პავლინიმ. პავლინის ხარისხის გავრცელებამ ვანდალების თავდაცვით შეპართო და ლომობერის სიტყვით მიმართა: მე განთავისუფლებ მონებიდან—მსურს დიდისპატივით, საჩუქრით გაგისტუმრო სამშობლოში. და ამიტომ მთხოვე რაც გნებავდეს, მზად ვარ დიდის სიამოვნებით აღვასრულო ყოველი თქვენი თხოვნა.

—დიდად გმადლობთ დიდებულთა თავადო ყურადღებისათვის. რა-კი ეგოდენ მოწყალე ბრძანდებოდა ჩემზე, ყ-დ უმდაბლესად გუზოვ ერთად ემთან მისცეთ თავისუფლება ყველა იმ ტყვეებს, რომელნიც არიან წამოყვანილნი რწმუნებულ ჩემდამო საეპისკოპოსოდგან.

თოვნი ღირსი მამა პავლინის მყის იქმნა აღსრულებული. ვანდელეთის თავადმა კეთილი მწყემსი ერთად პირ-შეტყველ ცხოვართათურთ დიდის პატივითა და საჩუქრით გაისტუმრა მათ სამშობლო ქვეყანაში. აი ასე აკურთხებებს, ასე აჯილდოებს და ასეთის კეთილი-წარბაქებით აგვირგვინებს ღმერთი იმ კეთილ დეაწლს, რომელსაც ილუწის ადამიანი საიდიდებლად ღვთისა და სასარგებლოდ მოყვასთა.

მღვ. მ. კავაშელაშვილი.

განსვალეზა

1905 წლის 14 იანვრიდან

საზოლიტეიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იპერია“

წელიწადი მეოცდაცხრე.

ყოველ დღე, ორშაბათობათგ გადიდებული ფორმატით, განსვლეზულის რუქაქვაით და ხსალ თანამშრომელთა მონაწილეობით.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში პრემიად 12 წონხს შემდგის სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“.

გაზეთში და საზრქეითა წიგნებში იქსება ხოლმე

სუკრათეი გ სხვა-დ-სხვა ილუსტრაციეი

ფასი ვაზეთისა: წელიწადში 10 მან რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: წლის დამდგას 4 მან, 1 მაისს 3 მან და 1 აგვისტოს 3 მანეთი, ვინც ნახევარ წლით, ან თვიურად გამოიწერს. უნდა შემოიტანონ ყველთათვის მანეთი.

სასაღსო სკადების მასწავლებლებს, თავით სკოლებს და სასაღსო საქვათხელებს გაჭეით პრემიათურთ დაეთმობათ 7 მანეთად. ცალკე ნომერა 3 კაბ.

ფოსტ. აღრ. Тифлиси, редакція „Иверія“.
3—3

მ ვ ქ ი მ ს ი

რედაქციის პასუხი.

უფასო სამკითხველთა გამგეთ. შე დაკითხობთ რუგა სოთ ჩვენ გამოცემათა, იმ წარბოთი რომ ფოსტის ფასი უწინააღმდეგეს გამოსვლას ერთად მანეთი უნდა წარმოადგინოთ. მღ. კ—ძეს თქვენ თარკმანს შემდეგ ნომერში დაუბეჭდაყა.

სალიტერატურო განუოწილება: გურიის ამბები. — გურიის ამბების გამო. — ლმერთა მოკეცა, მღ. ბ. კახაიძის, — თურნალ გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შერიგებები.

სვავლა და მხვინობა ძრისტიანობის სარწმუნოებას და ქოთილ-წინოზაში. მოძღვრის საუბარი მრევლთან, ყვირლის ეკლესიაში, 13 თებერვალს წირვის შემდეგ, ღმკ. დ. ლამაზიძის. — ძვირფასი და საუკეთესო მოწყალეობა, მღვ. მ. კავაშელაშვილისა — რედაქციის პასუხი. — განსვალეზა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

Дозволено цензурою Архимадритъ Георгій 26 февраля 1905 г.

Типог. редакція журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.